

შპს „პატარბული“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საწარმოს საუბიანობის შედეგის შესახებ ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს „პატარძელი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	62965	22220	108387
საგაყრო და სხვა მოთხოვნები	783678	965030	636006
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	1377569	1259796	1388048
მზა პროდუქცია	165571	113855	15190
სხვა	1211998	1145941	1372858
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	4758
ბიოლოგიური აქტივები	1193536	819951	127440
თვითღირებულების მოდელით	1193536	819951	127440
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	322
ძირითადი საშუალებები	2458520	2440382	2340556
სულ აქტივები	5876268	5507379	4605517
ვალდებულებები			
საგაყრო ვალდებულებები	666247	1397425	1765372
ანარიცხები	496	2198	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	57300	50902	37902
საგადასახადო ვალდებულებები	59588	60232	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1088969	1078377	1088955
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	352901	993795
სხვა ვალდებულებები	14208	0	0
სულ ვალდებულებები	1886808	2942035	3886024
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	261682	261682	1695313
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	329705	-1094411	-4373893
გადაფასების რეზერვი	3398073	3398073	3398073
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3989460	2565344	719493
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5876268	5507379	4605517
სულ მოკლევადიანი აქტივები	2224212	2247046	3119565
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1886808	589134	0

დირექტორი



მთ. ბუღალტერი

[Handwritten signature]

შპს „პატარძული“


სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (კართულ ლარში)


საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2023
ნეტო ამონაგები	11115184	10393678
საქონლის გაყიდვიდან	11115184	10393678
გაყიდვების თვითღირებულება	-9105517	-7891305
საერთო მოგება	2009667	2502373
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	0	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-131365	-133513
საპროცენტო ხარჯი	-167960	-271179
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-286226	-249781
სულ საოპერაციო ხარჯები	-585551	-654473
საოპერაციო მოგება	1424116	1847900
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან		
და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	-2049
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		
ოპერაციებიდან	1424116	1845851
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1424116	1845851
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1424116	1845851
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2565344	719493
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3989460	2565344

დირექტორი



მთ. ბუღალტერი



შპს „პატარბული“ (ს/კ 238121689)

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „პატარბული“ (შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნებულია 1999 წლის 23 აპრილს საქართველოს კანონმდებლოს შესაბამისად, საზოგადოება დარეგისტრირებულია საგარეჯოს რაიონის სასამართლოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 238121689.

1.2. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

კვრების წარმოება და რეალიზაცია.

1.3. საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

2.1. საზოგადოების მიერ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება.

2.2. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საწარმო მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოება იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ, საზოგადოების პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;

2.4. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა-ლარი;

2.5. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);

2.6. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით;

2.7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;

2.8. საზოგადოება იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ნარჩენი ღირებულებით (თვითღირებულებას მინუს ცვეთა);

2.9. არამატერიალური აქტივი არის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასახულია ნარჩენი ღირებულებით (თვითღირებულებას მინუს ცვეთა);

2.10. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული

აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.11. მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე – დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.

2.12. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;

2.13. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილ თანხას;

2.14. ბანკის სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა;

2.15. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. პარტნიორებს შეუძლიათ გაზარდონ საზოგადოების კაპიტალის ოდენობა დამატებითი შენატანებით და საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მიღებით. შენატანი საზოგადოების კაპიტალში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს, როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით.

2.16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

შპს „პატარძელის“ დირექტორი:



 ოთარ მურჩიშვილი